საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

ხალხის საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 30 კაპ.
რაიონის ქალაქებში 60 კაპ.

№ 151   1918 წ. სამშაბათი ნოემბრის 12.   № 58

გერმანელების საზავო დელეგაცია ეახლა ფრანგთა გენერალს ფოშს.— მოკავშირეებმა პირობები მიიღეს.— მოკავშირეებმა ბოსფორ-დარდანელის ოკუპაცია დაამთავრეს. გერმანიაში ბოლშევიკების ცნობით არეულობაა.— დახურეს დაშნაკელების გაზეთი „ჰორიზონი“.— მეგვის ხიდზე მიმოსვლა აღდგენილია.

ღრმად დამწუხრებულნი: იაკობი გულას ძე, ევგენი იაკობის-ძე, ვერა და პატარა ოთარი გეგეჭკორები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველის დაუვიწყარ სიდედრის ხოლო დანარჩენთა საყვარელ გამზრდელ ბებიას

მენიკი კეიდიას კოზაძის ასულის

გარდაცვალებას ქ. ზუგდიდში. 2340

მშობლები ალექსი ქიტესის ძე და კესარია ყაფლანის ასული, ძმები: სიმონ, ბიქტორ, ვარლამ და გიორგი ალექსის-ძენი; დები: სეფორე და ელპიტი ალექსის ასულნი ნასარიძეები და სიძე დომენტი მელაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარის

სერგო ალექსის-ძის ნასარიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება სამშაბათს ნოემბრის 12-ს არამიანცის საავადმყოფოდან. დასაკრძალავად წაასვენებენ წმ ნინოს სასაფლაოზე დილის 10 საათზე.

ნიკოლოზ ზაქარის-ძე და შუშანა წყალობას ასული პატარქლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ნოემბრის 10-ს უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი და დაუვიწყარი პირველის სიმამრიშვილის და მეორის ძმის

კოტე მირაქოვისა,

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან მუხრანის ქ, № 3 ვანქის ტაძარში ხუთშაბათს გიორგობისთვის 14-ს დაკრძალვა ხოჯავანქის სასაფლაოზედ. 2345

გეურქ წყალობის ძე და მარიამ წყალობის ასული მირაქოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ძმის

კონსტანტინე (კოტე) მირაქოვისა,

ნოემბრის 10-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. ს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან მუხრანის ქ № 3 ხუთშაბათს, ნოემბრის 14-ს, ვანქის ტაძარში. დაკრძალვა ხოჯავანქის სასაფლაოზე. 2345

ქ. ჭიათურაში უდროოდ გარდაიცვალა

ილია ლაზარეს-ძე მიქაძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გაუბედურებული მეუღლე მისი რებეკა, ძმა იაკინთე და განსვენებულის ყველა ნათესავ-ჭირისუფალნი. დასაფლავება დროებით მოხდება ქ ჭიათურაში ხუთშაბათს ნოემბრის 14-ს. 1409

გულ ჩათუთქულნი ნინო ლევანის ასული, ნატალია ნიკოლოზის ასული, ვლადიმერ და ივანე აბრამის ძენი, ნინო იოროთეს ასული და ნინო ივანეს ასული ნასიძენი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, გიორგობისთვის 9-ს სოფ. მაღაროში (სიღნაღის მაზრა), საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი შვილი, მეორესთვის—უძვირფასესი მეუღლე, მესამე და მეოთხესთვის—შეუდარებელი ძმა და უკანასკნელთათვის საყვარელი მაზლი, 79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე

პანაშვიდები ყოველ დღე სოფ. მაღაროში საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2344

თამარ აბრამის ასული და ალექსანდრე იოსების ძე გილაშვილები შვილებითურთ აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, გიორგობისთვის 9-ს სოფ. მაღაროში საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ძმა ხოლო მეორესთვის—უძვირფასესი ცოლის ძმა, 79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე

პანაშვიდები ყოველ დღე სოფ. მაღაროში საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2344

ღრმად დამწუხრებულნი და გულმოკლულნი ფოტინე გიორგის ასული, ნიკოლოზ ივანეს-ძე გვანცალაძეები, მათი შვილები ნიკუშა და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი ძმის, მეორე სიმამრის შვილის და უკანასკნელნი საყვარელი ბიძის პორუჩიკ

მიხეილ (მიხაკო) გიორგის-ძის დეკანოსიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სამშაბათს, ნოემბრის 12-ს სოფელ გარიხევში 234



ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

სამშაბათს, 1918 წ ნოემბრის 12-ს გაიმართება

დიდი გალლა სასპორტო

წარმოდგენა, მოვიდა მთელი შემადგენლობა იაპონური სასახლის დასისა იამადა სანას მეთაურობით. დღეს მონაწილეობენ ჰაერის მეფენი **ხამი ეშმაკი.** დღეს ახალ სიმღერებს შეასრულებენ მარია და ანტონ ზინკოვსკები. დღეს გამოვა ცნობილი სლასტუშინსკი თავის საოცარ ბურთით. დასაწყისი საღამოს 8 ს.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2346

ნინო, გიორგის ასული, დეკანოზ ერმალოზ ვეფხვაძე შვილებით: პლატონ, ანეტა, ქაქილა, ვერიჩკა, პეტრე და პავლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი დაუვიწყარ ძმის, მეორენი ცოლის ძმის და დანარჩენი ძვირფასი ბიძის

მიხეილ (მიხაკო) დეკანოსიძის

უდროოდ დაკარგვას. 2342

ნატალია წილოსანისა და ვანო, სოფიო, იოსები და ვარო ჯვანკალაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფასი

მიხაკო გიორგის ძის დეკანოსიძის

უდროოდ დაკარგვას

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 120 ფუთი უვარგისი ბზე, 300 ფუთი უვარგისი ქვამარილი, 200 ფუთი უვარგისი ხილის ჩირი და 1000 ცალი ფუთიანი ქისტის ბიდონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე. დაწვრილებით პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 1403

იყიდება სახლი 36 ოთახით დ. წალვერში ბაკურიანის რკ. გზ. (მღებრიშვილის პანსიონი) ავეჯით, მოწყობილობით და ზედმეტ შენობებით როგორც: სამზარეულო, სამრეცხველო, სარაია და საკუთარი წყალსადენით წყაროს წყლისა.

პირობებისათვის მისამართი: ტფილისში „საერო“ ღვინის მრეწველთა კანტორაში პუშკინის ქ. 8 ედემიასთან 12—1 საათამდე ყოველ დღე და წალვერში—მღებრიშვილის პანსიონი. 2329

ტფილისი, ნოემბრის 12.

იარაღის აყრა ტფილისში.

ტფილისში ადმინისტრაციის წინაშე ამ ჟამად დიდი საქმეა გასაკეთებელი. საქართველოს რესპუბლიკის უძველეს ქალაქში—ტფილისში მცხოვრებს უნდა ჩამოართვან ის იარაღი, რომელიც სრულებით საჭირო არ არის მშვიდობიან მოქალაქეთათვის. მართალია ისეთი მომენტი იყო რესპუბლიკის დედა-ქალაქის ცხოვრებაში როცა დემოკრატიის მტრების შემოსევას არა მარტო წმინდა პოლიტიკური, არამედ ხულიგანური ხასიათიც ჰქონდათ თავისი ძარცვა-გლეჯით. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია რომ მოქალაქეთ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ თავდაცვისათვის შეიარაღების სისტემა მიეღოთ. მაგრამ ამ ჟამად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქართველოს რესპუბლიკამ შესძლო ხულიგანების და პროვოკატორების მასიური გამოსვლების ჩაღრჩობა და მთელს საქართველოში დაამყარა მშვიდობიან კულტურულ-ეკონომიურ მუშაობისათვის ხელ საყრელი პირობები. სწორედ ეს ობიექტიური პირობებია დღეს რომ აუცილებლად მოითხოვენ მცხოვრებთ იარაღის ჩამორთმევას, მთავრობის ავტორიტეტის განმტკიცებას და ნაძირალების წინააღმდეგ ბრძოლას არა თვით გასამართლების პრინციპის საშუალებით, არამედ წმინდა სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციის გზით, მცხოვრებლებმა უნდა იცოდნენ, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაცია შექმნილია და დაუღალავად მუშაობს თვით ხალხის დასაცავად და ყოველ ვიგინდარას, ყაჩაღი იქნება იგი თუ პოლიტიკურ ვაჭნალიის მქადაგებელი, ღირსეულ პასუხს გასცემს თვითონ მთავრობა.

სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა ერთად ერთი სწორი და კულტურულ-უფლებრივი პოლიტიკაა. ეს პოლიტიკა მთავრობამ უკვე გაატარა საქართველოს სოფლებში, სადაც ხალხს იარაღი ჩამოართვა და ამნაირად მოსპო კიდეც სხვა და სხვა ნაძირალების მასიური გამოსვლები. ბუნებრივია რომ ეს პოლიტიკა სავსებით უნდა გატარდეს ქალაქებშიაც. და ის, რაც ეხლა ხდება ტფილისში იარაღის აყრის ნიადაგზე, არის გაგრძელება და დასასრული იმ პოლიტიკური მიზნისა, რომელსაც მთავრობამ მიაღწია სოფლად.

სამწუხაროდ, ტფილისის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა თავისი ნებით არ აიყარა იარაღი. რესპუბლიკის მთავრობის სახელით ნ. ჟორდანია საგანგებო ფურცელში აცხადებს რომ ტფილისში კვლავ არის კერძო პირების და ჯგუფების იარაღის საწყობები, რის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია მშვიდობიან ცხოვრების დაცვისათვის. ტფილისის ყოველი მოქალაქე ვალდებულია მთავრობის ამ საქმეში ცხოველი მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს ადმინისტრაციას ხალხის იარაღის მობილიზაციაში. ამ დიდ საქმეს მთავრობის ადმინისტრაცია მარტოდ მარტო ვერ მოახერხებს თუნდაც საველე და საალყო წესები იქმნას გამოცხადებული. თვითონ დემოკრატიამ უნდა შეუწყოს ხელი ამ საქმეს და მთავრობას მიზანი შეასრულებინოს უმტკივნეულოდ და სწრაფად.

ვიმეორებთ, ეს საქმე უნდა შესრულდეს ძალიან სწრაფად. ტფილისს რომ ამ დრომდე ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული—სამწუხაროა. ჩვენს დედა ქალაქში, როგორც არსად მთელს საქართველოში, საკმაოდ დარჩა საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური მტრები, რომელნიც ჩვენდა მოსასპობად რკინის გზებს ანგრევენ და ტფილისშივე სადემონსტრაციოდ პეტარდების სისტემას იმართავენ. ამ პოლიტიკურ მტრებს უნდა მოესპოს ტეხნიკური საშუალება ანარქიის შესაქმნელად, ვინაიდან დღეს მთავრობის ერთად-ერთი დაუძინებელი მტერი ეს პოლიტიკური ავანტიურისტები არიან, რომელნიც ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან. უეჭველია, დარჩებიან ჩვენში ისეთი ნაძირალები, რომელნიც იარაღით და ძარცვა გლეჯით ცხოვრობენ. ასეთი ელემენტები ყოველთვის არის ყოველ სახელმწიფოში. ესენი არ არიან საშიში ხალხისათვის, ამათ ადვილად გაუმასპინძლდება ჩვენი ადმინისტრაციაც და ამათგან იგი ადმინისტრაცია ხალხს უფრო დაიცავს ვიდრე თვითონ მოქალაქე თვით გასამართლების გზით.

სპეკულიაცია ღტოლვილებზე

საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება კარგა ხანია მოსვენებას არ აძლევს დაშნაკელებს. დღემდის ისინი ფარულ ქსელს აბამდნენ და უცდიდნენ მოხერხებულ დროს, რომ ზურგში მახვილი ჩაეცათ ჩვენი რესპუბლიკისათვის. იდუმალი მუშაობა და შეთქმულება დიდ იმედებს უძრავდა მათ და ისინი ურცხვად აწარმოებდნენ ჩვეულ პოლიტიკას—სხვის ხარჯზე, სხვის უბედურებაზე საკუთარ „კეთილდღეობის აგებას“.

და მოხერხებული დრო მათის აზრით დადგა, ევროპის საომარ ასპარეზზე ახალმა სიომ დაქროლა. გერმანია სავსებით მოსწყდა აღმოსავლეთს, დღეს იზოლაციაშია და იწყება ახალი ძალის ჰეგემონია-შეთანხმების სახელმწიფონი, ინგლის-საფრანგეთი გამოდიან ომისა და ზავის მეს ჰეებად. ამ ქვეყნის იმპერიალისტურ წრეებს გაცემული აქვთ მრავალი ვექსილები წვრილ ერებისა და კერძოდ დაშნაკელებისათვის, მოვიგონოთ ვილსონის ისტორიული სიტყვა გერმანიის უკანასკნელ შეტევის დროს, როცა ისინი პარიზს ემუქრებოდნენ. ვილსონის ენით ლაპარაკობდა არა მარტო ამერიკა, არამედ ყველა სახელმწიფონი შეთანხმებისა, აჰყვნენ დაშნაკელების მეცხლები და მათ მიდაც საკმაოდ აღუძრათ ამიერკავკასიაში ჰეგემონიისა, მაგრამ ერთი რეალი დაბრკოლება უდგა წინ ამ ჰეგემონიას. ეს იყო საქართველოს რესპუბლიკა, რომელმაც ყველაზე მეტი უნარი გამოიჩინა [illegible] შეთქმულებისა.

და დაშნაკელებმა თავისი ბნელი მოქმედება სინათლეზე გამოიტანეს, მათ მოინდომეს რესპუბლიკის ხალხში უკმაყოფილების გამოწვევა, მთავრობის სახელის გატეხა, არევ დარევა და ანარქია, რომ ახალ ძალები ათვის თვალსაჩინო გაეხადათ საქართველოს უნიათობა და მისი სომხებისადმი „ვერაგობა“.

მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც ეს დაშნაკელებს ჰგონიათ და ეგონათ, საერთაშორისო დემოკრატია თავის პოლიტიკას დაუღალავად აწარმოებდა და ამ ბოლო ხანებში მისი ნაყოფი ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის სახ ლავი გახდა ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის მუშათა წრეები არ აჰყვნენ. აღძრულ, ვერაგულ მადას თავის ქვეყნის იმპერიალისტებისას—მათ არ ინდომეს ომი ბოლომდე, გერმანიის სრულ განადგურებამდე; მათ გაბედულ დ მოითხოვეს დაუყონებლივი ზავი და თუ მმართველი წრეები კვლავ გაჯიუტდებოდნენ, ისინი რევოლიუციის საშიშროების წინ დადგებოდენ, დემოკრატია თვითონ აიღებდა ხელში მთელ ძალაუფლებას.

ამ რიგად დემოკრატიამ მოახერხა ერთგვარი ნეიტრალიზაცია შურისძიების ენერგიისა და მოსტეხა განადგურების პოლიტიკა. აქედან აშკარა იყო, რომ ყოველ თამასუქს შეთანხმების მმართველ წრეებისაგან გაცემულს დემოკრატია იჭვით უცქერდა და მათ გადასინჯვასაც მოითხოვდა. აშკარა იყო, ასევე უნდა გადასინჯულიყო დაშნაკელებზე გაცემული თამასუქებიც და იგი უნდა შეგუებოდა არა მარტო სომხის, არამედ ქართველ ერის ინტერესებსაც. ასეთმა ტენდენციამ ძალა წაართვა ევროპის ომის ახალ სიოს, დაშნაკელების ამიერკავკასიაში გაბატონებას

საერთაშორისო პოლიტიკაში, ახალ ზავის ჩამოგდებაში ახლმა ძლოვანმა ფაქტორმა იჩინა თავი და ეს ფაქტორი იყო ინტერნაციონალი მუშათა, რომელიც არავითარ ფასეულობას არ აწერდა დაშნაკელებზე გაცემულ თამასუქებს იმპერიალისტებისაგან. საკითხი სულ სხვა სფეროში უნდა გადაიჭრეს და აქ სომხების ჰეგემონიას ნაკლები გასავალი აქვს. ამ -კავკ რეალობას—საქართველოს

რესპუბლიკას არ შეიძლება თანაგრძნობით არ შეხვდეს მუშათა ინტერნაციონალი, რომლის წრეში მუდამ მედგრად გაისმოდა ქართველ დემოკრატიის ხმა.

დაშნაკელები დიდ საგონებელს მიეცნენ: ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციის ნაცვლად. მათ წინ აიმართა „ინტერნაციონალი“-ს ორიენტაცია.

და სწორედ ამ ხანებში მოხდა ქარ. სოც.-დემ მემორანდუმის გამოქვეყნება ამ ინტერნაციონალისადმი. სრულიად ობიექტიურ წერილს პატარა საქართველოს ბედზე, მისი დამოუკიდებლობის ეპოპეას არ შეეძლო სრული თანაგრძნობა არ გამოეწვია ინტერნაციონალის წრეებში.

და დაშნაკელებმა გაafთრებით მიიტანეს იერიში ამ წერილზე, მოინდომეს მისი გაბათილება, მისი სიყალბის დამტკიცება და ერთგვარი ჯაშუშობა გასწიეს ინტერნაციონალის წინაშე. მაგრამ ობიექტიობა მეტად ნათელი იყო, ყოველი სტრიქონი აშკარად მეტყველებდა ჭეშმარიტებას. და იმედ გაცრუებული დაშნაკელები წერილიდან ლტოლვილთა საკითხს სწვდნენ—რომ ტყუილია მათდამი საქართველოს ყურადღება, რომ იმათ ჩვენ ვსდევნიდით, ვატყვევებდით, თავის ქვეყანაში არ ვუშვებდით და აქ გავმართეთ მეორე მესოპოტამია. დაიწყო საშინელი ინსინუაცია, პროვოკაცია ამ საკითხის ირგვლივ და დღემდის მედგრად სწარმოებს ეს სპეკულიაცია ლტოლვილებზე.

ფარდა მეტად გამსჭვირვალეა: ჩვენ ვხედავთ, რომ ლტოლვილთა საკითხი ძველია, რომ არც ერთ დაშნაკელს ამისათვის დღემდე თავი არ უტკივებია, თითი არ გაუნძრევია, გროშით არ დახმარებია.. დღეს უეცრად საშინლად ასისინდნენ, ამხედრდნენ. რათა?

მარტო იმისათვის, რომ ინტერნაციონალის წინაშე ამ ცოცხალ დოკუმენტს-წერილს სახელი გაუტეხონ. მის სიყალბეზე აყაყანდნენ და როგორმე მისი მნიშვნელობა გააბათილონ. განა მათ არ იცოდნენ—როგორ ზრუნავდა და ზრუნავს ლტოლვილებზე ჩვენი მთავრობა?

მაგრამ ისინი ჩვეული არიან სპეკულიაციას და ეხლა საცოდავ ლტოლვილებზე ეწევიან მას. ინტერნაციონალის წინაშე ასეთი ხრიკებით ფონს ვერ გავლენ...

აკ. პ—ვა.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: მიეცეთ ტფილისის ოთხკლასიან დაწყებით სკოლებს მომარაგების კომიტეტიდან 2250 არშ. მატერია და 200 კოჭა ძაფი ფრიად დაკლებულ ფასებში.

—

გაეხსნას გზათა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 500000 მანეთი ტყვიბულის მაღაროს მუშათა საქმეების დასაბოლავებლად.

—

ნება მიეცეს გზათა მინისტრს, გაჰყიდოს ნაწილი გზათა სამინისტროს ქონებისა.

—

დამტკიცებულ იქმნეს ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან შემუშავებული სავალდებულო დადგენილება, შემოსავალზე ორ პროცენტიანი გადასახადისათვის ეპიდემიასთან საბრძოლველად.

პარლამენტის საგანგებო სხდომა

(პარასკევი ნოემბრის 8).

სოციალ-დემოკრატების შეკითხვა.

მთავრობის თავმჯდომარის განმარტების და პასუხის შემდეგ სიტყვა ეძლევათ ფრაქციათა წარმომადგენლებს.

შ. ქარუმიძე (დამოუკ. ნ. დ.) მოაგონებს მთავრობასა და პარლამენტს, რომ ანალოგიური შეკითხვა შემოიტანეს მათ, ნაციონალ-დემოკრატებმა, ხოლო მაშინ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული დღეს კი იგივე შეკითხვა ს.-დემოკრატების მიერ იქმნა შეტანილი, რომელნიც იმეორებენ სწორედ იმას, რასაც მაშინ ნ.-დ. მოითხოვდნენ. შემდეგ ორატორი ეხება სომხის ერის მეთაურების მავნე პოლიტიკას, რომელიც საქართველოს დამხობისაკენ არის მიმართული და მოითხოვს უკიდურესი ზომები იქმნეს მიღებული საქართველოს მტრების ასალაგმავად.

ბარხუდაროვი (სომ. სახალხო პარტ.) ლაპარაკობს რუსულად. იგი უსაყვედურებს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ წინასწარ არ შეატყობინა ფრაქციებს, რომ შეკითხვა იყო შემოტანილი და რადგან ლტოლვილთა საკითხი ფრიად სერიოზული საკითხია და მრავალ თვეთა ისტორია აქვს, საჭიროა ყველა მასალის შეკრება, რომ იგი სათანადოდ იქმნას განხილული. ამიტომ ორატორი სომ. სახ. პარტიის სახელით მოითხოვს, რომ შეკითხვის განხილვა სხვა დროისთვის იქმნეს გადადებული.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ რეგლამენტის ძალით შეკითხვა შემოტანილი უნდა იყოს კრების წინ და არც პრეზიდიუმს, არც ფრაქციებს არ ევალეიათ შეატყობინოს ფრაქციებს წინასწარ. ეს პირობა დღევანდელ შეკითხვაში დაცული იყო.

კამათი გრძელდება.

ზორიანი (დაშნ.) ლაპარაკობს რუსულად. მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! დღევანდელმა შეკითხვამ უნდა გაფანტოს ის გაუგებრობა, ლტოლვილთა საკითხის გარშემო რომ დაიბადა (ადგილიდან: „ხიდების აფეთქებაც ლტოლვილთა საკითხია?“) სომხის ერის მეთაურები ყოველი ღონით ცდილობენ განათავისუფლონ საქართველო ამ მძიმე ტვირთიდან და დააბრუნონ ლტოლვილები თავიანთ სამშობლოში. უსაფუძვლოდ სდებენ ბრალს დაშნაქციუთუნის პარტიასა და უსაფუძვლოდვე უწოდებენ მას „ბნელ ძალებს“. თუ პრესა ამწვავებს საკითხს, ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ეს საერთო ყველა გაზეთის ტონია. განა ასევე არ სწერდა „ერთობა“—სომხები ავადმყოფ ლტოლვილებს მალავენ, რომ ქართველ ხალხს გადასდონ სხვა და სხვა სნეულობით ქართველი ხალხი ამოწყვიტონო? ამას სწერდა „ერთობა“ მაშინ, და დღეს სომხები სამაგიეროს უხდიან და ამავე ტონით სწერენ ქართველობაზე.

შემდეგ ორატორი კიდევ დიდ ხანს ლაპარაკობს ლტოლვილებზე და სომხების პოლიტიკაზე და დასძენს: „ქართველი ერის დაცვაში, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ დაშნაქციუთუნის პარტია პირველ წყებაში იბრძოლებსო.

ივ. გომართელი (ალიონელი). სანამდის ჩემს მოკლე სიტყვას მოგახსენებდეთ, მინდა რამდენიმე ფაქტი მოგაგონოთ, რომელსაც ვერ ეგუება ჩემი სინიდისი და მოთმენა, როდესაც იმ დღევანდელ კრებაზე ბ. ავეტისიანცმა სთქვა **თქვენი** და **ჩვენიო** ჩვენ გვეგონა მართლა, რომ ის შეცდომით იყო ნათქვამი დღესაც ბარხუდაროვმა ბრძანა: **თქვენი** მთავრობის წარმომადგენელმა რომ ილაპარაკა, მას ტაში დაუკრეს. მეგონა დაშნაკელები, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ, საქართველოს ქვეშევრდომობას აღიარებდნენ.

ისტორია დასდებს თავის მსჯავრს იმ ხოცვა-ჟლეტის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაქოში ამ უკანასკნელ ხანებში. მაგრამ აქვე ჩვენ გვავიწყდება ის ჟლეტა, ბოლშევიკებმი და გაბოლშევიკებულმა დაშნაკელებმა რომ მოახდინეს. მე ზიზღით ვუყურებ ყოველგვარ ხოცვა-ჟლეტას, იმ მეთაურებს, რომელნიც მას აწყობენ. ქარუმიძემ მთელ სომხის ხალხს მოახვია ბრალი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისა. ეს მართალი არ არის. სომხის ხალხს ნდობა და თანაგრძნობა უნდა გამოეცხადოს, როგორც დატანჯულ ხალხს. ბრალი ედება იმ მეთაურებს, რომელთაც დაღუპვისაკენ მიჰყავთ სომხის ერი.

ნათქვამია „წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო“. ეს ანდაზა ჩვენს მთავრობაზე მართლდება. ჩვენი მთავრობა არათუ წმინდაა, იგი უაღრესად წმინდა არის. ის ლმობიერობით ეპყრობა თავის მტრებსაც კი და ხუნვას არ აკლებს, მათაც, რომელნიც პროვოკაციის ქუდს აბამენ საქართველოს წინააღმდეგ. მე მომწონს მტერი ახდილი, რომელიც პირდაპირ შეგებება და თუ ხმალი გადაუტყდათ, თავისას უკან ჩასდებს ქარქაშში, მაგრამ რა უქნა იმ მტერს, რომელიც უკნიდან გეპარება. მე დარწმუნებული ვარ მაინც, რომ ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვა ქართველი ერი და განაგრძობს ძმურ ცხოვრებას სომხის ერთან. ჩვენ წარსულში არც ერთი იყო ხანა, როდესაც სომხები ქართველებთან ერთად აშენებდნენ საქართველოს სახელმწიფოს. იყო ამ ორი ერის შორის ნათესაური კავშირიც. მაგრამ ამ ჟამად ჩვენსა და სომხის ერს შორის არის დაშნაკციუთუნის პარტია და სანამ ის არ აილაგმება, უსათუოდ დიდი საფრთხე მოელის ქართველს ხალხსა და სომხის ხალხს.

ჩვენც ნდობით ვერ მოვეპყრობით აქ მყოფ წევრებს დაშნაკციუთუნის პარტიისა. მარტო სიტყვები საკმარისი არ არის, რომ დაარწმუნოს ვინმე თავის ერთგულებაში.

სომხის დემოკრატიაც შეიგნებს დაშნაკელების მოღალატურ მოქმედებას და ის მუდამ საქართველოს მთავრობასთან იქნება და არა დაშნაკელებთან (ტაში).

არჩ. ჯაჯანაშვილი. (სოფ.-ფედ.) ბატონებო! მინისტრთა საბჭოს პატივცემულმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, თუმცა დღეს გზა გახსნილია და სომხეთის მთავრობას თამამად შეუძლიან წაიყვანოს ლტოლვილები თავის ქვეყანაში, მაგრამ მას დღემდის ამნაირი წინადადებით ჩვენთვის არ მოუმართავს, რადგანაც ლტოლვილების საქმე თვით სომხეთში, მის დედა ქალაქ ერევანშიაც არ არის კარგად. ეს არის ეხლა,—ამ შეკითხვისგან სრულიად დამოუკიდებლად,—ერევანიდან მივიღე შემდეგი ცნობები: ერევანში თითქმის სულ აღარ არიან მაჰმადიანები, რომლებიც ოსმალეთთან ერთად გახიზნულან. ერევანში თავ-მოყრილია აუარებელი ლტოლვილი, რომლებიც ქუჩებში ჰყრიან და მოუვლელობითა და უპატრონობით იხოცებიან; პარასკევს მოჰხდა ლტოლვილთა ამბოხება მთავრობის წინააღმდეგ და ადმინისტრაციას რომ დროზედ ენერგიული ზომები არ მიეღო, საქმე ცუდად დატრიალდება. თუ შეიძლება მესოპოტამიაზე ლაპარაკი, მაშინ ბიბლიური მესოპოტამია ლტოლვილთათვის აქა ყოფილა, საქართველოში, ხოლო მესოპოტამია თურქულის აზრით სომხეთის დედა-ქალაქ ერევანში. განა შეიძლება ვისმეს მოუვიდეს აზრად, რომ სომხეთის მთავრობამ ქალაქი ერევანი განზრახ გადააქცია სომეხ ლტოლვილთა მესოპოტამიად? ამის მთქმელი აუცილებლად პროვოკაციას ჩაიდენდა და ის გაზეთებიც, რომლებიც საქართველოს შესახებ სწერენ, სომხებისთვის აქ მეორე მესოპოტამია შეჰქმნესო, პროვოკაციასა სჩადიან, განა სომხეთის მთავრობას არ უნდა, ერევნის ლტოლვილები უკეთესად მოეწყონ, ვიდრე ეხლა არიან მოწყობილნი? ესევე უნდა ჩვენს მთავრობას. და თუ ჩვენი მთავრობა ლტოლვილებს ისე კარგად ვერ უვლის, როგორც თვით მასა ჰსურს, ნუ თუ მას მეორე მესოპოტამიის შექმნის სურვილი უნდა დავაბრალოთ. იმ გაზეთებმა, რომლებიც ამასა სწერენ, რასაკვირველია, ძალიან კარგად იციან, რომ ეს მართალი არ არის, მაგრამ მაინც საჭიროდ მიაჩნიათ პროვოკაციის გაწევა იმიტომ, რომ მათ ჰსურთ ჩვენი დემოკრატიული მთავრობისა და დამოუკიდებლობის დამხობა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც ამ კომპანიას ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ აწარმოებს ავანტიურისტული და მოღალატური პარტია დაშნაკცუთუნისა. გაიხსენეთ მთელი ისტორია ამ პარტიის მოღვაწეობისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ მთელი ეს მოღვაწეობა იყო დაუსრულებელი ძაფი ავანტიურისა და ღალატისა. ჯერ ისევ ომის დაწყებისთანავე ამ პარტიამ თავისი მოღვაწეობა ღალატით დაიწყო.

თუმცა ოსმალეთის სომხები ყოველთვის ეუბნებოდნენ რუსეთის სომხებს, სახიფათო გზაზე ნუ დადგებითო, მაგრამ რუსეთის სომხების ავანტიურისტობამ სძლია და აქ მოაწყეს ღალატი ოსმალეთის წინააღმდეგ. მათ ძალიან კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ იმ დროინდელ პირობებში ამნაირი გზით სიარული, დიპლომატიური მახინაციებით მოწყობა სომხეთის განთავისუფლებას ნამდვილი ავანტიურა იყო და აუცილებლად უნდა გამოეწვია აწიოკება და ამოწყვეტა უდანაშაულო სომხის ხალხისა. სწორედ ამ ავანტიურით იწყება დასაწყისი იმ ლტოლვილთა ტალღისა, რომელიც საქართველოს მოეხეთქა. მაგრამ დაშნაკცაკანები რის დაშნაკცაკანები იქნებოდნენ, ორმაგი პოლიტიკა რომ არ ეწარმოებინათ. იმ დროს, როდესაც არიერიდან ცნობილი ხატისოვი ერთგულებას ეფიცებოდა ვორონცოვ-დაშკოვს, იგი დემოკრატობაშიაც სდებდა თავსა. მახსოვს ერთი შემთხვევა, მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა ვიყავი და იქნება სწორედ იმიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში ეს ამბავი.

ერთს სარდაფში 1905 წელს მუშების პროფესიონალური კავშირის არალეგალური ყრილობა იყო გამართული. მე, როგორც გაზეთის თანამშრომელი, შემთხვევით დავესწარი ამ ყრილობას; როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ამ სარდაფში ხატისოვიცა ვნახე. ჩემს გვერდზე მდგომმა მუშამ, ალბად სახეზე წაიკითხა ეს გაოცება და მითხრა, ეს კაცი ისე ადვილად მოდის მეფის სასახლიდან ჩვენს სარდაფში და ჩვენი სარდაფიდან მიდის სასახლეში, რომ ნამდვილად დაშნაკცაკანი გახდებაო (სიცილი). ხატისოვი დაშნაკცაკანი გაჰხდა და ეხლა ოსმალეთს ეფიცება ერთგულებას, იმ ოსმალეთს, რომელსაც უწინ აქ ღალატს უმზადებდა. ასეთივე ღალატი ჩაიდინა დაშნაკცაკანების პარტიამ ბაქოში და ამიტომ სომხის ხალხის ზღვა სისხლსა და ცრემლში უპირველესად ყოვლისა ამ ავანტიურისტულსა და მოღალატურ პარტიას უდევს წილი. დაშნაკცუთუნის პარტიას აქაც, ჩვენშიაც, ჰსურს ღალატის სუნი დაატრიალოს. კიდეც მიაღწევდა თავის მიზანს, მის ავანტიურისტულ მოქმედებას მუხრუჭს რომ არ უჭერდეს საქართველოს დემოკრატია. და თუ დაშნაკცუთუნის პარტიამ ძველი მოღალატური და ავანტიურისტული გზით განაგრძო სიარული, საქართველოს დემოკრატია, მართლაც, ისეთს მუხრუჭს მოუჭერს მას, რომ სუნთქვა შეეკრას, განძრევა ვერ მოახერხოს (ტაში).

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.** სომხების წარმომადგენლები აქ ლტოვილთა საკითხზე ლაპარაკობენ. ლტოლვილთა საკითხი კი მხოლოდ ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდა ეს პროვოკაცია. როდესაც ზორიანმა სთქვა ყურადღება არ უნდა მივაქციოთ რაც ეწერა დაშნაკელების ორგანოში, რადგან ეს ხომ ყველა გაზეთის საერთო ტონი არისო, ეს მართალი არ არის. ასეთი საზიზღარი ჭორების თხზვა არც ერთ სხვა გაზეთს არ გაუხდია სისტემად. შეჰხედეთ ამ გაზეთებს (ნ. ჟორდანია აჩვენებს „ჰორიზონს“), ყველა გვერდზე დიდი ასოებით, თავში მოწოდებაა: „**მოითხოვეთ ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოშიო**“. გამოდის, რომ ოსმალოები უშვებენ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში, ხოლო ჩვენ ვაკავებთ მათ. ეს არის საზიზღარი ჭორი, რომლის წინააღმდეგ სასტიკი ზომებით უნდა ვიბრძოლოთ.

„თქვენი ხელები შეღებილია ლტოლვილთა სისხლითო“ სწერენ „ჰორიზონში“. ეს პრესის თავისუფლება კი არ არის, არამედ აღვირ-ახსნილი პროვოკაცია.

ეს იწერება არა მასსის გულის ამონახეთქიდან, არამედ ერთი ჯგუფის მიერ. თვით სომხის მასა არ აჰყვება დაშნაკციუთუნს და გენერალ მაყაშვილთან ლაპარაკი ჰმოწმობს, თუ რამდენად საღი შეხედულებისაა სომხის მასა.

ივ. გობეჩია (ს.-რევ.) ლაპარაკობს შოვინისტ დაშნაკელების განგაშზე, რომელიც მათ ლტოლვილთა საკითხის გარშემო ასტეხეს.

გ. ქიქოძე (ნ.-დ.) ეხება იმ ღრმა ეროვნულ წინააღმდეგობას, რომელიც სომხისა და ქართველ ერებს შორის არის და ამბობს: სომხის ერის მეთაურთა დღევანდელი მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ შექმნან სადმე სომხეთი დღეს მათ მიეცათ იმედი, რომ ამას სისრულეში მოიყვანენ ინგლისელთა დახმარებით. ორატორს საბუთი მოჰყავს და ამტკიცებს, თუ რამდენად უსაფუძვლოა სომხების იმედები, რომ ინგლისელები დაეხმარებიან.

3 ს, 55 წ. კამათი სწყდება და გაგრძელება ინიშნება საღამოს 7 საათისთვის.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი. 9—11. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. შელდის დასავლეთის ნაპირზე ჩვენ მიერ დაცლილი ტურნეს ნაწილი ინგლისელებმა დაიჭირა. შელდის და უაზის შუა, მაასის დასავლეთით, ჩვენ იწყობრად უკან დავიხიეთ. ზოგიერთ წინა ხაზებთან ბრძოლა გაძლიერდა. ამ სექტორში მტერმა მიაღწია პერუველის ხაზს, სენ გილსენის და მობეუგის დასავლეთით, ავესნას აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაასის დასავლეთით ლიარტპარდენის ხაზზე და სედანის დასავლეთით მტერი წინსვლას განაგრძობს, მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე დრო გამოშვებით ბრძოლაა.

ბერლინი. 9—11. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა.

ზავის გარშემო

პარიზი, 9—11. გერმანიის დელეგატები პარასკევს დილით მარშალ ფოშთან მივიდნენ და ოფიციალურად სთხოვეს დროებითი ზავზე მოლაპარაკების დაწყება. მოკავშირეებმა პირობები მიიღეს. (?) დელეგატებმა სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ითხოვეს, რაზედაც უარით უპასუხეს დელეგატებმა სთხოვეს მათ ამის შესახებ აცნობონ გერმანიის მთავრობას კურიერის საშუალებით. კურიერი გაემგზავრა. გერმანიის ჯარის უფროსთა პასუხის ვადა ორშაბათ დილის 11 საათამდეა.

რომი. 9—11. იტალიის მთავრობამ, ავსტრიის რკინის გზის კანტროლობა თავის ხელში აიღო. იტალიის მეფე ტრიესტში მოვიდა.

ნიუ-იორკი. 8—11. ნიუ-იორკში ბურჟუაზია ავსტრიისა და ოსმალეთის კაპიტულიაციის გამო გამარჯვებას დღესასწაულობს.

მოსკოვი. 10—11. ლიონი, 9 ნოემბერი ბრიტანიის ჯარი მობეჟიდან ორი მილის მანძილზეა. ამერიკელებმა სედანი დაიჭირეს. რკინის გზის გასწვრივ ფრანგები სდევნიან უკან დახეულ გერმანელებს. იტალიის ჯარი შევიდა მერანობულიანში. მოკავშირეთა ჯარმა უკვე დაასრულა ბოსფორის და დარდანელის ოკუპაცია. ნაღმებს იღებენ.

კიევი, 9—11. ცნობაა, რომ ვილჰელმი გადადგა ტახტიდან.

მოსკოვი, 10—11. უკანასკნელ ცნობით გერმანიის ჯარისკაცებმა დაატუსაღეს გერმანიის გენერალთა კომისია, რომელიც დროებითი ზავის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. გერმანიის ჯარისკაცები დამოუკიდებელ მოლაპარაკებას აწარმოებენ ფრანგ ჯარისკაცებთან. კაიზერი ვილჰელმი ტახტიდან გადადგა. კანცლერი პრინც მაქს ბადენელი თანამდებობიდან გადადგა. ახალ კანცლერად ინიშნება მთავრობის სოც.-დემოკრატი ბერტი.

უცხოეთი

მოსკოვის ცნობები.

ვენა. 8—11. ვენაში დიდი უწესოება გრძელდება. ნეისტადში ჰაეროპლანების ანგარები დასწვეს. ზალცბურგში გაცხოველებული ბრძოლაა. ავსტრიული გაზეთები ამბობენ, რომ კარლოსის გადადგომის შემდეგ ავსტრიის რევოლიუცია თანდათან რუსულს ემსგავსება. ოლქში დიდი უწესოებაა. ბრბო პურის მაღაზიებს არბევს.

ბერლინი. 8—11. მდგომარეობა რთულდება. მუშათა, ჯარისკაცთა, მეზღვაურთა ბრბომ მოედანზე დიდი მიტინგის შემდეგ იარაღი აიღო და ქალაქში შემოვიდა. სამხედრო ციხესთან საიდანაც პატიმართა განთავისუფლება უნდოდათ, პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. მოკლული და დაჭრილი 8 კაცია.

კიევი, 8—11. ავსტრიის მოსაზღვრე ხაზზე ძარცვა-გლეჯა და უწესოება გრძელდება. სადგ. ნოვოსელიციდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ავსტრიელ ჯარის კაცებთან ერთად სახაზინო ქონება დაარბია. დაამტვრიეს სპირტის საწყობები. თოფის და ყუმბარის სროლა სწარმოებს. ღამე დაარბიეს სადგური, კანტორა და ფულები მოიტაცეს.

დონის-როსტოვი, 7—11. სამხრეთის არმიის სარდლობას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყოფილი მთავარ-სარდალი გენ. ივანოვი შეუდგა.

მოსკოვი, 9—11. დანიის საზღვრებთან სამხედრო ბანაკებში სერიოზული აჯანყებაა. შტუტგარტში მანიფესტაციის დროს 12000 კაცი იღებდა მონაწილეობას. საერთო გაფიცვით მოითხოვენ ზავს და ვილჰელმის გადადგომას.

მოსკოვი. დასავლეთის ფრონტი. ორშანის მიმართულებით სლანიოს სამხრეთით გერმანიის მოსაზღვრე რაზმები ზარბაზნებს უშენდა ჩვენ სადარაჯოებს. ჩვენმა მოსაზღვრე ჯარმა უკან დაიხია. გერმანიის ჯარმა დაიჭირა (?) (დამახინჯებულია). ვორონეჟის მიმართულებით ფრონტის ხაზებზე ყაზახები დამარცხდნენ და იძულებულნი შეიქმნენ ბობროვის მაზრაში რამოდენიმე სოფელი დაეტოვებინათ.

გერმანიის პრესა.

პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა დაუყონებლივ გადადგეს. პრესის ცნობით პრუსიის სახელმწიფო სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს ნაციონალ-ლიბერალს ფრიედბერგს დავალებული აქვს ახალი კაბინეტის შედგენა. სამინისტროში, ალბად, შევა ორ-ორი წარმომადგენელი ყველა უმრავლესობის პარტიიდან. მინისტრი სპაინი, ცენტრის პარტიის წევრი და ფიშბეკი, პროგრესიულ სახალხო პარტიის წევრნი, ახალ მთავრობის შემადგენლობაში რჩებიან. ქარხნების მართველ წრეებში და სავაჭრო კავშირების (ტრედუნიონების) დირექტორთა თათბირზე სახელმწიფოს მრეწველობის

უწყების ხელმძღვანელების თანდასწრებით, დაადგინეს დაარსონ სპეციალური ბიურო, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება ვაჭრობის და შრომის დეპარტამენტთან და რომელსაც დიდი უფლება ექნება.

საკავშირო საბჭომ გადასწყვიტა, მიიღოს ზომები დემობილიზაციის შემდეგ ბინის კრიზისის ასაცდენად.

ახალი ამბავი

◆ **ბაჩანა.** ფშავეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მწერალი და სახალხო მოღვაწე ბაჩანა. (ნიკო რაზიკაშვილი). ბაჩანა რამოდენიმე დღეს დარჩება აქ.

◆ **მიწების დაჭერა.** კახეთის რკ. გზის სადგურ წნორის წყლიდან შემდეგი დეპეშა მიიღო გზათა სამინისტრომ: ს. საქობოს გლეხებმა რკინის გზის სადგურის საქობოს მიდამოებში მომუშავენი გაჰყარეს, იძახიან, რომ ეს მიწა მათ ეკუთვნოდა ვითომც წინად. დღეს მუშაობა მიდის შეიარაღებულ ძალის მფარველობით, მაგრამ მოსალოდნელია ახალი თავდასხმა გლეხთა მიერ, რომელნიც ძალებს აგროვებენ. გზათა სამინისტროს შესაფერ განკარგულებას სთხოვს.

◆ **იარაღის ტარების ნებართვა მთიელთ.** მთიელთა რესპუბლიკების კავშირთა მთავრობამ ტფ. გუბერნ. კომისარს წარუდგინა სია თვის მთავრობის იმ პირთა, რომელნიც ამ მთავრობის სამსახურში ირიცხებიან და ტფილისში სცხოვრებენ. მთიელთა მთავრობა სთხოვს მათ ნებართვა მიეცეს სულ 18 პირს. გუბერნიის კომისარმა მოახსენა რა შინაგან საქმეთა მინისტრს ეს თხოვნა, სთხოვს განმარტებას: შესაძლებელია თუ არა მათ შეეხოთ ის განკარგულება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ამაწლის აპრილის 22 18998 ხორმით.

◆ **ლტოლვილთა კომისის წევრი.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებისათვის ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენელის მომართვა ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების კომისიაში ქართველ წევრის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კომისიაში თავის წარმომადგენელათ დანიშნა ხსენებულ სამინისტროს რწმუნებული ა. ს. ლორთქიფანიძე.

◆ **ანარქიასთან ბრძოლა.** ტფ. გუბერნიის კომისარმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სოფლად ანარქიასთან საბრძოლველად საჭიროა ადგილობრივ სასწრაფოდ მოეწყოს საგანგებო რაზმები და მათ შესახებად ნება მიეცეს 277,528 მ. 50 კ. თანხიდან დახარჯვისა, რომელიც დარჩენილია იმ კრედიტიდან, რომელიც საქ. დემოკრატიულ რესპუბლიკის კანონის ძალით გადიდო ამ წლის ივლისის 12 თარიღით.

◆ **კომუნისტების გაზეთი.** ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობამ მოახსენა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამხანაგობის სტამბამ მიიღო წინადადება პეშტმალჯიანისაგან, რომ მას სურს გამოცემა დაბეჭვდა ამ სტამბაში თვის გამომცემლობისა და რედაქტორობით გაზეთ „ნაშა პრავდას“ სახელით ქართულსა და რუსულ ენაზე. გაზეთს პირველ გვერდზე ეწერება: „რუსეთის კომუნისტური პარტია, პროლეტარნო ყველა ქვეყნისა შეირთდით“. ვინაიდან როგორც განცხადებიდან სჩანს, გაზეთს სცემს კერძო პირი და არა პარტია, ქართულ ბეჭვდითი ამხანაგობა სთხოვს სამინისტროს აცნობოს, შესაძლოა თუ არა მიიღოს ამხანაგობის სტამბამ ეს გაზეთი ამ ანშლანგით.

◆ **რაჭული საღამო.** დღეს ქართულ კლუბში, ევგენი დვალის ხელმძღვანელობით გაიმართება რაჭული საღამო ფართო პროგრამით.

◆ **დატუსაღება.** ტფილისის საქალაქო მილიციის დადგენილებით დაატუსაღეს და ექვსი თვით ციხეში ჩასვეს გ. ბარნოზოვი, ს. გეწაძე და გ. გვარამაძე, რომელთაც არ შეასრულეს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება იარაღის ჩაბარების შესახებ.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში,** ოთხშაბათს, ნოემბრის 13 ფრეილინის ქუჩ. № 11, საღამოს 7 საათზე შესდგება კრება, რომელზედაც ინჟ. პ. მაძრაძე წაიკითხავს მოხსენებას „კანონი სამელიორაციო ამხანაგობებზე“ და ინჟ. ბ. ქიქინაძე „ახალ-სენაკ-ზუგდიდის რკინის გზა“. დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ.

◆ **ტფილისში დაბრუნება.** საქართველოს რკინის გზათა საერთო საქმეთა მმართველმა ფიცხელაურმა განკარგულება მოახდინა, რათა უფასოდ დააბრუნონ ტფილისში ის პირნი, რომელნიც ბათომში მიემგზავრებოდნენ და ნატანებში მოემწყვდნენ. მათ შესახებ შედგენილ უნდა იქმნეს სათანადო აქტი სამხედრო უწყებაში წარსადგენად

◆ **განცხადება.** საქართველოში მყოფი კომისია ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა საქმისა აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი ავსტრიელი ადგილობრივი სურსათით არ იკვებება და ყოველგვარი საზრდო გარდა ხორცისა, მათ სამშობლოდან ეგზავნებათ.

◆ **სომხები და მათი ლტოლვილები.** ერევანში სომხთა მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი სომეხი ლტოლვილები თავიანთ ადგილებზე დეკემბრის პირველ რიცხვებში დაბრუნდებიან, რადგან ოსმალოები მანამდე არ გაანთავისუფლებენ დაკავებულ ადგილებსაო.

◆ **შუამდგომლობა.** ტფილისის კლუბთა კავშირმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ კლუბებს ნება მიეცეს ლოტოს თამაშობისა იმ პირობით, რომ ამ თამაშობას „აზარტის“ ხასიათი არ ექნება. კლუბები აღუთქვამენ, რომ ლოტოს შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ქალაქის რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებას.

◆ **ლადო ახობაძის ლექსები.** რედაქციამ მიიღო ლადო ახობაძის ლექსთა კრებული „ცხოვრების ტალღები“. წიგნაკი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 32 გვერდს და მანეთად ჰღირს. კრებულს დართული აქვს წინასიტყვაობა ი. მამულაშვილისა და ბოლოსიტყვაობა თვით პოეტისა. როგორც წინასიტყვაობიდან სჩანს, ეს წიგნაკი დაბეჭდილი ყოფილა ჯერ კიდევ 1913 წელს, მაგრამ ცენზურას არ გაუშვია.

◆ † **ამხ. მიხაკო დეკანოსიძე.** დ. ხარაგაულში გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი და პარტიული ამხანაგი მიხაკო დეკანოსიძე, რომელიც დიდიხანია თანამშრომლობდა „რისხვას“ ფსევდონომით. განსვენებული წინად მასწავლებლობდა, ხოლო ბოლო დროს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ოფიცრობაც მიიღო.

◆ **ამხ. ქრ. რაჭველიშვილი** დღეს, ნოემბრის 12-ს ნაძალადევის სახ. სახლში წაიკითხავს მეოთხე ლექციას: საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

◆ **ცნობები.** ავსტრიის ქალაქ ეგერში იმყოფებოდა ტყვედ ჯარის კაცი რაჟდენ კონსტანტინეს ძე ბარათაშვილი. წარსული წლის დეკემბრიდან არაფერი ვიცით მისს შესახებ და თუ ვინმემ იქაურმა ტყვედ ყოფილმა იცით რამე გთხოვთ, უმორჩილესად გვაცნობოთ შემდეგი მისამართით. მაკკერის აფთიაქი ვორონცოვის ძეგლთან, ფარმაც. კარპეზ ფარნაოზის ძე ბარათაშვილს.

◆ **თავისუფალი ადგილი.** ბორჯომის სახელოსნო სკოლაში თავისუფალია სპეციალურ საგნების მასწავლებლის ადგილი. მსურველთ უნდა მიმართონ სასწავლებლის გამგეს გიორგი ვაშაკიძეს ბორჯომში.

◆ **ჯარების დემონსტრაცია.** გუშინ ტფილისში გაიმართა ჯარის ნაწილების დემონსტრაცია. რამოდენიმე სამხედრო ორკესტრის გუგუნით ქალაქის ქუჩებში მიემართებოდა მრავალ-რიცხოვანი ნაწილები ტფილისში მყოფ ლაშქრისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: ქვეითა პოლკები, არტილერია, კავალერია, სახალხო გვარდიის და ტყვიის მფრქვეველთა ნაწილი. მათ მიჰყვებოდა ჯავშნოსანი ავტომობილები და ტყვიის მფრქვეველი მოტოციკლეტები.

◆ **გაზეთის დახურვა.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორის გენ. მაზნიაშვილის განკარგულებით დაიხურა სომხის, დაშნაკცაკანების გაზეთი „ჰორიზონი“.

◆ **ალექსანდროპოლში.** ალექსანდროპოლიდან ჩამოსულთა სიტყვით, ოსმალოებს ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ და არც აპირებენ წასვლას. შევკეთ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალოები სრულებით არ ფიქრობენ ალექსანდროპოლის დაცლას.

◆ **შუამდგომლობა.** სოხუმის ოლქის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე, რათა გადაიდოს 300000 მანეთი სოხუმ-ზუგდიდის შუა ხიდების შესაკეთებლად და ერთი ინჟინერისა და ორი ტეხნიკოსისაგან შეიქმნას შტატი ამ გზების საჩქაროდ შეკეთებისათვის.

◆ **ძეგვის ხიდი.** გუშინ შეკეთებულ ძეგვის ხიდის დასათვალიერებლად ტფილისიდან ქსანს გაემგზავრნენ: გზათა მინისტრი, რკინის გზის სატეხნიკო ნაწილის უფროსი, რკინის გზის მილიციის უფროსი და ტფილისიდან გავიდა პირველი სამგზავრო მატარებელი, რომელსაც ხიდზე პირველად უნდა გაევლო.

◆ **ქართული ლატარია.** როგორც მოსალოდნელი იყო ლატარიის ბილეთები საქართველოს ყველა კუთხეში ბლომად სადდება, მხოლოდ ეხლავე ემჩნევა, რომ ბილეთებს ისევ და ისევ შეძლებული ხალხი ყიდულობს და დემოსი (ხელმოკლე ხალხი) კი ნაკლებ აქცევს ყურადღებას, რაც ძალიან სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს.

— ცნობილმა ვაჭარმა დავ. ქებაძემ ორმოცდაათი ათასი მანეთის ლატარიის ბილეთი დაიკვეთა.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრი** ნ. რამიშვილი, რომელიც ავად იყო, უკვე მორჩა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **შუამდგომლობა.** განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ საჩქაროდ გადაიდოს 44298 მ. 67 კაპეიკი ბორჯომის სახელოსნო სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირების დასარიგებლად და სკოლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

◆ **სასწავლებლებში.** ნოემბრის 10 ტფილისში შესდგა საქართველოს სპეციალურ სასწავლებელთა წარმომადგენლების კრება, რომელსაც მინდობილი აქვს, აღნიშნულ სასწავლებელთა ახალი შტატების შედგენა.

◆ **გაძარცვა.** ნოემბრის 9 საღამოთი ნიკოლოზის ქუჩაზე № 120 ნიკოლაევის ბინაზე შევიდა რამოდენიმე ბოროტმოქმედი და წაიღეს 8000 მანეთი.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 11. ტეხნიკურ სასწავლებლიდან მოიპარეს 10,000 მანეთის თეთრეული:

◆ **ქ. შ. წ. კ. მთავარი გამგეობის** კრება. სამშაბათს, ნოემბრის 12, საღამოს 7 საათზე, ქ. შ. წ. კ. გ. ს. კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. ს ახლად არჩეულ მთავარი გამგეობის წევრთა პირველი მორიგი სხდომა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

მოხსენება ბიუროში

ოთხშაბათს ნოემბრის 13-ს მთავარ ბიუროში დანიშნულია ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. მოხსენებას წაიკითხავს მთავარი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი. ფრიად საჭირო საკითხის გამო, მოხსენება დაიწყება საღამოს სრულ 7 ნახ საათზე და წევრებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

გენ. გუბერნატორის განცხადება

ტფილისი ნოემბრის 11-ტი. განცხადება ტფილისის და მის მიდამოების მცხოვრებთათვის. ზოგიერთი ბოროტ გამზრახველნი მილიციის სახელით და ყალბი ორდერებით სახლებში შედიან გასაცარცვავად. ვაფრთხილებთ ქ. ტფილისის და მის მიდამოების მცხოვრებლებს, რომ ასეთი პირები დაჭერისთანავე სამხედრო საველე სასამართლოში იქნებიან მიცემულნი. ვაცხადებ მცხოვრებლების საყურადღებოდ, რომ იარაღის აღმოსაჩენად ბინების გაჩხრეკა შეუძლიანთ იმ პირთ, ვისაც ჩემი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული. და ქალაქის მილიციის უფროსის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული განსაკუთრებული ორდერი ექნებათ. გენერალ გუბერნატორი გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი. ნოემბრის 11-ტი 1918 წელი.

კავკასიის ერების კონფერენცია

კვირას, ნოემბრის 10-ს, გარეშე საქმეთა სამინისტროს ბინაზე გაიხსნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოწვეული კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

საქართველოს მთავრობის მიერ კონფერენციაზე დასასწრებლად დანიშნული იყვნენ: ე. გეგეჭკორი და ნ. რამიშვილი. ორივე წარმომადგენლების ავადმყოფობის გამო კრებას მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია დაესწრო. ადერბეიჯანის მთავრობის მხრივ კრებას დაესწრნენ ჯაფაროვი, ვექილოვი და ალიევი, მთიელ ხალხთა კავშირის მხრივ კი მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი კოციევი და ფინანსთა მინისტრი ჯიბაგაევი.

შუადღის $12^1/_2$ საათზედ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ნ. ჟორდანიამ კრება გახსნა.

მან წაუკითხა კრებას ერევნის დიპლომატიური წარმომადგენლის ჯამალიანის წერილი გარეშე საქმეთა მინისტრისადმი მიმართული.

წერილში ჯამალიანი აღნიშნავს, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ერევნის მთავრობამ კონფერენციის დანიშვნა მხოლოდ ნოემბრის 8 ს გაიგო, ამის გამო არავითარი ინსტრუქცია არ მიმიღია განზრახულ კონფერენციის შესახებო. ნ. ჟორდანიას წინადადებით კონფერენცია სამი დღით, ესე იგი ხუთშაბათამდის გადაიდო.

მანდატების განხილვა კრებამ გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს ლორთქიფანიძეს და წარმომადგენელთა მდივნებს დაავალა.

მთიულ ხალხთა კავშირის წარმომადგენელი კოციევი იძლევა წინადადებას, რომ მიუხედავად სომხეთა წარმომადგენლების გამოუცხადებლობისა, გაიხსნას კერძო თათბირი, რათა გავეცნოთ კონფერენციაზედ დასმულ საკითხებს. კრებამ ეს წინადადება მიიღო და წარმომადგენელთა კერძო თათბირი ორშაბათს, ნოემბრის 11-ს საღამოს 8 საათისთვის დაინიშნა.

ს. ჩ.

საპარლამენტო კომისიებში

საფინანსო კომისიაში.

შემუშავებულია და კომისიას წარედგინა განსახილველად ფინანსთა სამინისტროს 1) კანონ-პროექტი გადასახადების აკრებისა, 2) კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების ერთდროულ დახმარების შესახებ.

ჯანმრთელობის კომისიაში.

ჯანმრთელობის კომისიამ შეიმუშავა შემდეგი პროექტები: 1) კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა. 2) კანონ-პროექტი სამკურნალო სასანიტარო საბჭოს დაარსებისა. 3) კანონ-პროექტი სასახლო ჯანმრთელობის მთავარ-გამგეობის დაარსებისა, 4) კანონ-პროექტი საფარმაცევტო საბჭოს დაარსებისა.

სამხედრო კომისიაში.

სამხედრო კომისიის საქმეთა მმართველად დაინიშნა პლატონ დარისპანის ძე ლეჟავა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ტყის მიღება.

მიწათ-მოქმედების ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის მიერ გაგზავნილ კომისიებს ჩაუბარებიათ კერძო მესაკუთრეთა ტყეები: 1) თელავის კომისიას ნოემბრის 4-მდე 13998 დეს. 2) გორის მაზრის პირველ კომისიას ოქტომბრის 10-მდე 28317 დეს 2) გორის მაზრის მეორე კომისიას ოქტომბრის 25-მდე—10656,3 დეს. 3) შორაპნის კომისიას სექტემბრის 30-მდე 9620,0 დ. 4) ტფილისისას—ოქტომბრის 23-მდე—13754,3 დეს. 5) მცხეთა-საგურამოსი—ოქტომბრის 24-მდე—8700 დეს. 6) სიღნაღისას—ოქტომბრის 30-მდე—2153,9 დეს. 7) მარტყოფისას—ოქტომბრის 21-მდე—3136 დეს. 8) ქუთაისისას—სექტ. 10-მდე—12306,5 დეს. 9) ოზურგეთისას—სექტემბრის 28 მდე—12481,2 დ. 10) ბორჩალოსას—ოქტომბრის 17 მდე 19157,2 დეს. 11) ლანჩხუთისას—ოქტ. 24-მდე—2087,5 დეს და 12) სენაკის კომისიას სექტემბრის 17-მდე—30123,5 დეს. სულ დღემდე ყველა აღნიშნულ კომისიებს მიუღიათ კერძო მესაკუთრეთა ტყეები ზომით 166491,7 დ.

მიწის საკითხი.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა შემდეგი ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან: „თანახმად ტფ. გუბერნიის კომისრის ცნობისა, თიანეთის მაზრაში საქმის მდგომარეობის შესახებ, ირკვევა, რომ ამ მაზრის მცხოვრებთა შორის უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ მიწის დაყოფა მცხოვრებთა შორის გვიანდება. მცხოვრებლებმა თვითონ დაიწყეს სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა მიწების დაყოფა, და რადგან ხშირად მიკერძოებას აქვს ალაგი, მოსდით მათ უსიამოვნება და ხშირად იარაღსაც მიმართავენ ხოლმე. დროზე მიღებულ ზომებით ეს შეიარაღებული შეტაკება ჯერ-ჯერობით აცილებულ იქმნა და მშვიდობიანად ათავებენ საქმეს გარდა ამისა ხშირად ხდება, რომ მიწის დამმუშავებელნიართმევენ მიწას უფრო შეძლებულთ, რომელთაც განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლები მიწა აბადიათ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სთხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრს შესაფერ განკარგულების ბოძებას“.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტროში.

კიდევ გაეროვნების შესახებ. რადგან ზოგიერთი დაწესებულებანი ნოემბრის 1 შემდეგაც კვლავ განაგრძობენ სამინისტროში არა სახელმწიფო ენაზე დაწერილ ქაღალდების გზავნას, სამინისტრომ განუმეორა ყველა თავისს ხელქვეითს დაწესებულებათ კატეგორიული ბრძანება, რათა ყოველგვარი მიწერ-მოწერა სამინისტროსთან მათ მიერ იწარმოებოდეს მხოლოდ ქართულად და რომ უამისოდ სამინისტროს კანცელარია აღარ მიიღებს თავისს ხელქვეით დაწესებულებათაგან გამოგზავნილ ქაღალდებს.

ავჭალის კოლონიის ბედი. სანაპირო დარაჯთა რაზმის უფროსმა პოლკოვნიკმა მალალაშვილმა მიმართა იუსტიციის მინისტრს თხოვნით, რათა ნება დართოს ხსენებულს რაზმს ავჭალის მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში დაბანაკებისა.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით შესდგა **საგანგებო კომისია**, რომელმაც უნდა ადგილობრივ გამოარკვიოს სანაპირო დარაჯთა რაზმის უფროსის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა და თვისი დასკვნა წარუდგინოს იუსტიციის მინისტრს, კომისიაში შედიან: იუსტიციის სამინისტროსაგან გ. ნ. სმიტტენი, ავჭალის კოლონიის შემნახველ საზოგადოების თავმჯდომარე ა. ა. ჩებიშევი და სამხედრო უწყების წარმომადგენელი.

მოხელეთა მორიგეობა ტელეფონთან. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, დაწესდა მოხელეთა მუდმივი მორიგეობა ტფილისის სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში. მოხელენი მორიგეობენ ტელეფონთან (1—03) და იბარებენ ყოველგვარ კორესპონდენციას, რაც-კი მოსდის ხსენებულ შენობაში მოთავსებულ დაწესებულებათ: იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო პალატას, ოლქის სასამართლოს, საბრალმდებლო ნაწილს და სხვ. მოხელეთა მორიგეობა გრძელდება სადა დღეებში ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე, უქმე დღეებში-კი დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე

სომხეთის სამინისტროს კრიზისი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარტიებს შორის მოლაპარაკება კაბინეტის შედგენის შესახებ დიდხანს გაგრძელდა. ჯერ მოლაპარაკება სწარმოებდა კანდიდანტების შესახებ სომხის სახალხო პარტია უარზე იყო ემუშავნა კაბინეტში იმ პირებთან (დაშნაკელების პარტიიდან) რომელნიც სტამბოლში მოღვაწეობდნენ კონფერენციაზე. ამრიგად ალ. ხატისოვი ალბად არ შევა ახალ სამინისტროში. ამავე პარტიას არ ჰსურდა კაბინეტში ახლანდელ შინაგან საქმეთა მინისტრის არამის შეყვანა. სახალხო პარტიიდან ისევ ძველ პირებს ასახელებდნენ, ვერ მოხდა შეთანხმება დაშნაკელებსა და ესდეკებს შორის. ესდეკები თხოულობდნენ ერთ პორტფელს და ისიც გარეშე საქმეთა მინისტრისას, მაგრამ დაშნაკელები ამაზე უარს ამბობდნენ და მათთვის სხვა პორტფელის მიცემის მომხრენი იყვნენ. ესდეკებს თავის მხრით გარეშე საქმეთა მინისტრად არშაკ ზურაბოვი უნდოდათ.

სამინისტროს კრიზისი გათავდა. მინისტრ-თავმჯდომარეთ რჩება—ქაჯაზნუნი, შინაგან საქმეთა—არამი, გარეშე საქმეთა—ტიგრანიანი, იუსტიციის—არუთიუნიანი. სახელმწიფო კონტროლიორი—ბერბერიანი. სამხედრო—გენ. ახვერდოვი, განათლების—ათაბეგიანი, სურსათის—გულიანი, მზრუნველობისა—კარჩიკიანი. ამ რიგათ სამინისტროში არ შევიდენ ესდეკები და ესერები.

ა. ხატისოვიც უპორტფელოდ დარჩა.

აქედან არუთიუნიანი, ენფიაჯიანი, ბერბერიანი, ათაბეგიანი, გულიანი არიან სახ. პარტიისა, ხოლო ქაჯაზნუნი არამი, ტიგრანიანი და კარჩიკიანი დაშნაკციუთუნის. გენ. ახვერდოვი უპარტიოა.

რა პოლიტიკას დაადგა ამით დაშნაკციუთუნი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

სომხეთის სატახტო ქალაქში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი მისიის წევრებითურთ ჩავიდა ერევანში ოქტომბრის 31. მეორე დღესვე მან ინახულა ჰაისტანის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ქაჯაზნუნი—შინაგან საქმეთა მინისტრი არამი, ფინანსთა მინისტრი—კარჩიკიანი სამხედრო მინისტრი—გენ. ახვერდოვი და ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე—საჰაკიანი.

მინისტრ თავმჯდომარე—ქაჯაზნუნმა იმ დღესვე გაუკეთა საპასუხო ვიზიტი

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს.

ჩვენი წარმომადგენლისა და სომხეთის მთავრობის შეთანხმებით გაცემულია ბრძანება, რათა დაუყონებლივ აღდგენილ იქმნეს ტელეგრაფი ტფილის ერევანს შუა, რომელიც სად. სანაინიდან კალაგერანამდის არის გაფუჭებული მომხდარი კონფლიქტის გამო.

— ქალაქში მრავალი მსურველია ტფილისში წამომსვლელთა, რომელნიც მუდამ-წამ მისიის კარებთან არიან წამოს ვლის ნებართვის მისაღებად

— ქართველი თითქმის არავინ არ არის დარჩენილი ქალაქში—ვინც არის, ისიც თითზე ჩამოსათვლენი არიან.

— ქალაქში თითქმის არ არიან მაჰმადიანები, რომელნიც გახიზნულან აქედან. სამაგიეროდ ათასობით არიან ლტოლვილნი სომეხნი, რომელნიც აუტანელ პირობებში სცხოვრობენ.

— ნოემბრის პირველს ერევანი კინაღამ დაარბიეს. ესევე ამბავი განმეორდა კვირას, ნოემბრის 3. ადმინისტრაციამ სასწრაფო ზომები მიიღო და ქალაქს თავიდან ააშორა დარბევა.

ქალაქი საშინელ სურათს წარმოადგენს. ლტოლვილებით არის სავსე ყველა ქუჩა-კუთხე და დღეში ათასობით იხოცებიან. მათი მდგომარეობა კრიტიკულია.

პატარა ფელეტონი

„ახალი ამბავი...“

თვე-ნახევარია ავადა ვარ „ისპანკას“ წყალობით.

ექიმები გაზეთის კითხვას მიკრძალავდნენ თვე-ნახევარია არ ვიცი რა ჰხდება ქვეყანასა ზედა.

დღეს პირველად გამოვედი გარედ და უპირველეს ყოვლისა „ახალი ამბავი“ მეინტერესებოდა.

შევხვდი ჩემს კარგ ნაცნობს.

— გამარჯობა, სერგო, არა გრცხვენიან, კაცო, ვკვდებოდი და არა მნახე?

— რა ვქნა, ძმაო, დღე სამსახურში ვარ და საღამოობით კი გარედ ველარ გამოვსულვარ!

— ეგ რაღა ამბავია?

— ამაზე მეტი უბედურება იქნება, რომ შენი პალტო [illegible] ველარ ატარო? მეშინი[illegible] — არ დამიჭირონ გზაში (და, რომ [illegible] არ [illegible] და არ დავაჭერინო). მეც არ მიმაყოლონ ზედ.

*

შევხვდი ახლა მეორეს:

— გიგო, თუ ძმა ხარ, მითხარი რა იცი ახალი?

— პალტო მომპარეს.

— პალტო?!.

— ხომ გაგეგონება, სამსახურის კაცი ვარ ეხლა, გავიხადე პალტო, ტალანში ხარიხაზე ჩამოვკიდე და... ერთიც ვნახოთ აღარ არის! მაგრამ იმედი მაქვს ჩემი ქურდი ისევ უკან დამიბრუნებს ჩემს პალტოს. ალბად შესცდა. მას კარგი ეგონებოდა, ვინაიდან ხარიხაზე მეორე პირით იყო ჩამოკიდული.

*

შევხვდი მესამეს

— სალამ-ალეიქუმ! სხვა? ახალი ამბავი-ხაბარი გეცოდინება. ამბობენ...

— რომ წუხელ პალტო მომპარეს? მომპარეს, ძმაო, მომპარეს! იმედია სამძიმარს გამომიცხადებ და როგორც მწიგნობარი ერთ ნეკროლოგსაც შემძლვნი.

— რომელი პალტო? აი, ის ძაღა მოკვრებული, ჩაფუთნული რომ დაბაჯბაჯებდი დათვივით?!

— წუხელ კლუბიდან სახლში მივდიოდი. ორი ქურდ-ბაცაცა დამიხვდა გზაში. გამხადეს პალტო და მითხრეს: „გაცივდები, ჩქარ-ჩქარა წადი სახლშიო!“

*

ბიჭოს! ეს რაღა ამბავია? ნუ თუ ვერ გავიგებ რა ჰხდება ჩვენს მთავრობაში?

შევხვდი მეოთხეს:

— ვასო? როგორ არის ქვეყნის საქმე: ამბობენ...

— ჰო, კაცო, ქუთაისში უნდა წავსულიყავი, პალტო დამრჩა სახლში და მსურდა წამომეღო, მაგრამ აბა რად ჩამოგიტანო? ჯერ ერთი—უეჭველად მომპარავენ და თუ—მაინცა და მაინც—შემრჩა: ამ ძვირობაში ალბად მე თვითვე გავყიდი ჩემსავე გააბანაკს. უკეთესია ისევ იქ იყოს სამარხად მაინც გამოადგებათ ჩემს მშობლებს.

*

შევხვდი მეხუთეს

— თუ ხათრი გაქვს, სოსო, იქნება შენ მაინც გამაგებინო უკანასკნელი ამბები, თვე-ნახევარია კაცო, არ ვიცი რა ჰხდება ჰორიზონტსა შინა.

— ეეე შენც მოგცლია რაღა! ახალი ის არის, რომ ყველა გადამთიელმა იშოვა ალაგი და მე კი ასე ავარად დავეხეტები! ეხ, ნეტავი იმას ვისაც ამ სიცივეში „თბილი ადგილი“ აქვს მაინც! ერთ მაზალო ამბავს გეტყვი: იმ დღეს ადგილის სათხოვნელად ერთ ჩემ ნაამხანაგართან მიველ (რომელიც ეხლა—ჰოი განგებავ—მინისტრია) და, რადგან ჩემს შარვალს „პენსნე“ გაუკეთდა, ამიტომ დასაფარად პალტო ჩემს ლევანს გამოვართვი... გამოვეწყე და მივდივარ. სული კი ხელში მიჭირავს. ვფიქრობ: რომ დამიხვდნენ გზაზე და პალტო გამაძრონ, ლევანი ხომ არ დამიჯერებს ამას? მაშინვე გადავწყვიტე: ქურდი პალტოს მომთხოვდა თუ არა—უეჭველად უნდა შევხვეწოდი: „შენი ჭირიმე, ეს შარვალ-ჰაჯაკიც თან გამხადე, რომ პალტოს პატრონთან პირშავად არ გამოვიდე“-თქო

*

ეს რაღა ღვთის რისხვაა? სულ პალტო, პალტო და პალტო! ნუ თუ „ახალ ამბავს“ ველარ ველირსები? ნუ თუ ყველა მამულიშვილს მხოლოდ და მხოლოდ პალტო აინტერესებს და სხვა არაფერი?

საღამომდე ველარ მოვიცადე და პირდაპირ რედაქციაში ავედი.

რედაქტორს წინ დაედო მთავრობის მიერ ახლად გამოცემული კანონი და ხმამაღლა ჰკითხულობდა:

დღეიდან „ყველა მოქალაქეს უფლება ეძლევა საზოგადო დაწესებულებაში, თეატრში თუ სხვა სახლებში პალტოთი შევიდეს. ამ კანონის დამრღვევი პასუხის გებაში იქნება მიცემული § 275 მუხლის ძალით. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა 6 გიორგობისთვე. 1918 წ. სახედრო მინისტრი **გიორგაძე**“.

ცხადია, ამის შემდეგ ჩემი პალტოს „ახალ ამბავზე“ უნდა მეზრუნა!..

ფირუზა.

ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების კრება

კვირას, ნოემბრის 10-ს ძველი ეროვნული საბჭოს ბინაზე მოხდა ქ. შ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების რწმუნებულთა კრება. კრება გახსნა გენ. ყაზბეგმა, რომლის წერილობითი მისალმება საზოგადოებისადმი მდივანმა წაიკითხა. კრება ტაშით შეხვდა ამ მისალმებას და გ. ყაზბეგს შემდეგ კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დავ. კარიჭაშვილი.

კრებამ მოისმინა 1916—1917 წელთა ხარჯთ-აღრიცხვა და სარევიზიო კომისიის მოხსენება მთავარ გამგეობის მოქმედების შესახებ. კრებამ ორთავე მოხსენება დაამტკიცა.

ყურადღება მიექცა ზოგიერთ სკოლას, სადაც მასწავლებელი არ ყოფილა და აგრეთვე ბიბლიოთეკების დახმარებას.

ბოლოს მოხდა მთავარ გამგეობის არჩევნები. მოხდა შეთანხმება სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალ-დემოკრატებისა. არჩეულ იქმნა ხუთი სოციალ-დემოკრატი, ოთხი სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი „ალიონელი“, ერთი ნაციონალ-დემოკრატი და დანარჩენი უპარტიონი. გამგეობაში არჩეულ იყვნენ შემდეგი პირნი; არჩ. ჯაჯანაშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, ს. იაშვილი, ა. წულაძე, გიორგობიანი, თ. კიკვაძე, კ. ნინიძე, კ. ქავთარაძე, ვ. ბურჯანაძე, დ. კარიჭაშვილი, იპ. ვართაგავა, შ. დედაბრიშვილი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ესტ. ავალიშვილი, დ. დუმბაძე.

საზოგადოებამ ერთხმად და გ. ყაზბეგი აირჩია საპატიო წევრად და თავმჯდომარედ, ხოლო საზოგადოების საპატიო წევრებად: დავ. კარიჭაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, ლ. ბოცვაძე.

კრებას ორმოცამდე რწმუნებული დაესწრო.

თეატრი და ხელოვნება

ვინც სეზონის ე ი. ლევიცკის ანტრეპრენიობის დროს დაესწრო ოპერას და ეხლაც, მეტად საყურადღებოა რამ გამოიწვია ასეთი მოვლენა? წინად თეატრი თითქმის სრულებით ცარიელი იყო, ეხლა კი სავსეა. სად იყო ეს ამოტელა მსმენელი და ოპერის მოყვარულნი? ეს კითხვა ყველას დაებადა ამის მიზეზია ცნობილი ანტრეპრენიორი ევლახიშვილი. მან საქმე თავისებურად დააყენა: შეამოკლა მრავალ-რიცხოვანი დასი, მიიწვია საუკეთესო, ცნობილნი მომღერალნი, ხედი-ხედ დააყოლა სხვა და სხვა ოპერები და ამნაირად პირველ დღესვე გაივსო თეატრი მსმენელით.

ყველაფერი ეს რა თქმა უნდა, კარგი მოვლენაა, რომ თეატრი გაიცოცხლა, მსმენელს სული ჩაუდგა, მაგრამ ბ. ევლახიშვილს არ უნდა დაავიწყდეს ის, რომ ეხლა საქართველო თავისუფალი სახელმწიფოა და ესაჭიროება თავის ტიპიური, ქართული რეპერტუარიც მართალია ძალიან მცირედი რეპერტუარი გვაქვს ქართულ ოპერისა, მაგრამ თუ სხვა ერები სარგებლობენ ნათარგმნ ოპერებით, არც ჩვენთვის არის დასაზრახი ვისარგებლოთ ნათარგმნით. საზოგადოებას მეტად ეინტერესება მოისმინოს ქართული ოპერა.

კახელი.

სომეხთა თავდასხმა

(დასასრული)

კალაგერ ნიდან გაგზავნეს მოენახათ პოლკ. კოროლკოვი, რომელიც ორი საათის ცდის შემდეგ თავის მხლებელ ამალით მოვიდა, მას იქ მისვლის მიზანი გააგებინეს და სომხის დეპუტატებმა სთხოვეს წამოსულიყო სარდალ გ. წულუკიძესთან მოსალაპარაკებლად. კალაგერანიდან მატარებლით დავბრუნდით. საცოდავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე პოლკ. კოროლკოვის შეხვედრამ გენ. წულუკიძესთან. მისი გარეგანი გამომეტყველება თითქოს გეუბნებოდათ: დამნაშავე ვარ და მაპატიეთო. თვალებ დაშვებული ნერვიულ მდგომარეობაში მყოფი სარდ. წულუკიძის შეკითხვაზე პოლკ. კოროლკოვი სრულიად დაიბნა. ვერც ერთ შეკითხვაზე დამაკმაკოფილებელი პასუხი ვერა სთქვა და სიტყვების მიხვეულ მოხვეულობაში ეტყობოდა, რომ იგი გულწრფელად არას ამბობდა და რაღაც სხვა ფიქრები და სხვა აზრები აწუხებდა. ექვსი ჩვენის ჯარის კაცის დაპატიმრება და საზღვრებიდან ასე შორედ გადმოლახვის შესახებ როცა ჰკითხეს ბავშურად განმარტა: მე მეგონა, თქვენ უკვე სამხედრო მოქმედება დაიწყეთ და ყოველივე ეს თავდაცვის ინტერესით ჩავიდინეო.

უხერხული მდგომარეობა სომხებისა და მათი მოწინავე ჯარის უფროსს კოროლკოვისა ისევ სომხის დელეგატებმა გამოასწორეს. თითქოს ასე უნდა ეთქვათ გენ. წულუკიძისთვის: მაგას რას ელაპარაკებით, მაგან არა იცის რა, ეგ აღმსრულებელია უმაღლესად ნაბრძანებისა ბ-ნს წულუკიძეს განუცხადეს: სადგურ კარაკლისში იმყოფება გენერალი დრო, მას ავადმყოფობისა გამო არ შეეძლო აქ ამოსულიყო და გთხოვთ კარაკლისში წავიდეთ და ყოველივე სადაო საკითხები იქ გამოვარკვიოთო. პოლკ. კოროლკოვმა გენერალს გადასცა ბრძანება გენ. დროსი, რომელიც თავის მთავრობის განკარგულებით სამებრ კოროლკოვს ავალებდა დაეცალა დაკავებული ადგილები, სოფ. ქარინჯისა და წათერნის ხაზს და გადასულიყვნენ იმ ადგილებში, რომელნიც ოსმალებს ეკავათ. ამის გამო დეპუტატებმა გენ. წულუკიძეს სთხოვეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა. ხიდიდან ჩვენი ჯარის უფროსები ქობერში დაბრუნდნენ და რადამც გამოირკვა, რომ სომხები ჩვენს მოთხოვნილებას ასრულებდნენ, გენერალ წულუკიძემ ბრძანებანი დაუგზავნა შესატევად გადასულ ჩვენ ნაწილებს ქარინჯი და წათერნი დაეჭირათ მცირე რაზმებს, ხოლო დანარჩენები დანიშნულ ადგილებში დაბრუნებულიყვნენ.

ცოტა ხანს შემდეგ წათერნიდან ამბავი მოვიდა, რომ ვიდრე ბრძანება მოუვიდოდათ სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ ჩვენები უკვე შესტაკებოდნენ სომხებს და წათერნიდან განდევნათ. გავიგეთ, რომ სომხებს 6 მოუკლეს და რამდენიმე დაუჭრეს ჩვენებმა. ჯეროვან განკარგულებების გაცემის შემდეგ ჩვენი ჯარის უფროსები ჯავშნოსანით და მატარებლით სად. სანაიანში დაბრუნდნენ. ქობერიდან სომეხთა წარმომადგენელთა უმრავლესობა წავიდა ერევნისაკენ, ხოლო სანაიანისაკენ დაბრუნდა სამი და აქ სხვათა შორის გ. წულუკიძეს სთხოვეს ნებართვა: გაგვიშვით სომხის სოფლებში პროპაგანდა გავწიოთ და ხალხი დავამშვიდოთო

როგორც აღვნიშნეთ, სანაიანში ჩვენებს დაპატიმრებული ჰყავდათ პორუჩიაგულოვი, სტუდ. არღუთინსკი და სხ. საეჭვო პირები სომეხთა ერთმა დელეგატმა სიტყვა გადუგდო გ. წულუკიძეს მათი განთავისუფლების შესახებ, თითქოს ამ ნაირი საქმეები ისე შინაურულად, უნდა თავდებოდეს. სარდალმა წულუკიძემ უპასუხა: გამოძიებას მოვახდენთ და თუ იგინი არაფერში დანაშაულნი არ არიან განვათავისუფლებთო.

საზოგადოდ ბორჩალოს მაზრაში ჩვენი სახელმწიფოებრივი მშვიდობიანობისათვის დიდად არა სასიამოვნო ამბები ხდება.

მას შემდეგ, რაც ერევან—ტფილისის გუბერნიის საზღვრებზე მოხდა, აუცილებლად საჭიროა ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ განურჩევლად ყველას იარაღი აეყაროთ.

გავიგეთ აგრეთვე, რომ ცნობილი წრეები სომეხ ლტოლვილებს **ოსმალეთიდან გადმოხვეწილებს** თავს უყრიან და გაჰყავთ თურმე ბორჩალოს სამხრეთ ნაწილებში და ახალქალაქის მაზრისაკენაც კი და იქ უპირებენ ჩამოსახლებას, მაშინ როდესაც საქართველოს მკვიდრთა შორის მიწების შიმშილია. იმედია ჩვენი მთავრობა ამ საქმეს მეტს ყურადღებას მიაქცევს.

ქაქუჩელა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

დაჰკარგა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოწმობა მ. ყაუხჩიშვილის სახელზე გაცემული. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: მილიუტინის ქ. № 3. 1408

ლიფიტახოსის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალი ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნაროვევი, და სხვა. ამასთანავე **ვიღებ შეკვეთილებს**: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი მ. მუხაძე-შვილი იღებს ავადმყოფთ დილის 1½—2 საათ. ყარ-ღანოვის ქ. № 6.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. აგტალის აუდიტორიის ახლო. 2106

ექიმი ს. ც. ბიჭიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით ძიძიაძის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ერისთავი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი [illegible] მისკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. ლ. [illegible]შვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1½—2 და საღ. 4—6 საათამდე, [illegible] 908

ექიმი ი. ი. აბაკელია შინაგანი და [illegible] ავადმყოფთ [illegible] 1270

ექიმი ქალი რ. ბ. შეთლიგ-სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და პეტრბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგრძლივი დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენშტეინისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭების მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ბ. გ. მებრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

თვალის სამკურნალო, მუდმივი სამკურნალო ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). ძძივ და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ძრლიბ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იზნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსგბის გაკეთება.

სამკურნალოში დამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

მეორე ნავახარდიანის კერძო ქალაქის სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ნ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ი. ავახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. მენჯამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ანეულებანი.

ნ. გ. ავეტისიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

[illegible] ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 8 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 80 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. [illegible] ღიაა ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ტელეფონი 12—29.